

## **გენეტიკური, გენეზისური და გენეტური ფორმებისათვის**

უცხო წარმომავლობის ტერმინების – **გენეტიკისა** და **გენეზისის** მნიშვნელობები ქართულ ენაში მკვეთრად გამიჯნულია. ორივე სიტყვა ბერძნულიდანაა ნასესხები. უცხო სიტყვათა ლექსიკონში დასახელებული ლექსიკური ერთეული ასეა განმარტებული: **გენეტიკა** [< genētikos წარმოშობასთან დაკავშირებული] – ბიოლოგიური მეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ორგანიზმების მემკვიდრეობასა და ცვალებადობას; **გენეზისი** [ბერძ. genesis] – წარმოშობა, წარმოქმნა. ამ ტერმინებით ნაწარმოებ **-ურ(-ულ)** სუფიქსიან ზედსართავებსაც განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ. **გენეტიკური** ნიშნავს გენეტიკასთან დაკავშირებულს.

მ. ჭაბაშვილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ (რომელშიც ავტორი ძალიან ხშირად აზუსტებს სიტყვასთან დაკავშირებულ ორთოგრაფიასაც) **გენეტიკურის** მეორე მნიშვნელობასთან მიუთითებს უმართებულო ფორმასაც – **გენეზისური**, რაც იმას ნიშნავს, რომ თავად ფორმა კი არ არის მცდარი ვარიანტი, არამედ სიტყვა **გენეტიკური** მნიშვნელობით უნდა გაიმიჯნოს **გენეზისურისგან**. **გენეზისური** ნიშნავს გენეზისთან დაკავშირებულს. მართალია, ორივე ზედსართავისათვის ამოსავალია **წარმოშობის** სემანტიკა, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს ის განსხვავება, რომელიც მათს მნიშვნელობას გამიჯნავს. **გენეტიკური** ფორმა, როგორც ითქვა, მიღებულია **გენეტიკისაგან**: ამოსავალია ტერმინი **გენი**. სწორი ტერმინოლოგიური შესიტყვებებია: **გენეტიკური კოდი**, **გენეტიკური ტრანსფორმაცია**, **გენეტიკური ბარიერი**, **გენეტიკური ინჟინერია**, **გენეტიკური ბანკი**... **გენეზისური** კი, ზოგადად, წარმოშობასთან დაკავშირებულს გულისხმობს და, შესაბამისად, სწორი ტერმინოლოგიური შესიტყვებები იქნება: **გენეზისური ნიადაგთმცოდნეობა**, **გენეზისური მიმართულება**, **გენეზისური ჰორიზონტები**...

ქართულში უცხო წარმომავლობის სახელთა **-ურ(-ულ)** სუფიქსით გაფორმებისას ერთი ყალიბი არსებობს. ზედსართავი სახე-

ლი ფორმდება ძირითადად წყარო ენის მიხედვით. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შუამავალ ენაში მიღებული ფორმა მკვიდრდება ხოლმე ქართულში. სწორედ ამიტომ იქცა **კრიზისული** და **კრიტიკული** პარონიმებად [ოსაძე 2013: 166-167].

ზედსართავი სახელი **генетический** რუსულ-ქართულ (ერთ-ტომეული) ლექსიკონში შემდეგნაირადაა ნათარგმნი: – 1. გენეტიკისა, გენეტიკური; 2. გენეზისისა, გენეზისური, გენეტური [რუს.-ქართ. ლექს. 1983].

როგორც ჩანს, ენაში გაჩნდა ფორმა **გენეტურიც**, რომელიც დასტურდება როგორც ძველ ლექსიკონებში, ისე ახალ გამოცემებში. ზედსართავი სახელი **გენეტური** გვხვდება საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც, მაგალითად, „ასეთი დასკვნის გასაკეთებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კონკრეტული ენის მონაცემთა ჩვენება **გენეტური** თვალსაზრისით“; „საერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკასთან ტერმინოლოგიას საერთო **გენეტური** არხები და საერთო სიტყვათწარმოებითი ბაზა აკავშირებს“...

ზედსართავი სახელი **გენეტური** ამ ფორმით დასტურდება გეოგრაფიის სახელმძღვანელოებსა თუ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, მაგალითად, **გენეტური კლასიფიკაცია** – генетическая классификация, **გენეტური ტიპები** – генетические типы...

როგორც ითქვა, ლექსიკონების მონაცემთა მიხედვით, რუსული ზედსართავი სახელი **генетический** ქართულად ფორმდება ორგვარად – როგორც **გენეტიკური** და **გენეზისური**. რა თქმა უნდა, მათი მნიშვნელობები ენაში გამიჯნულია, მაგრამ მსგავსად **კრიტიკულის** და **კრიზისულისა** [ოსაძე 2013: 168], დასტურდება ამ სიტყვათა არამართებულად გამოყენების შემთხვევებიც. მაგალითად, „მართვის ავტომატიზებული სისტემების ტერმინების განმარტებით ლექსიკონში“ წარმოდგენილია ტერმინოლოგიური შესიტყვებები: **გენეტიკური ანალიზი**, **გენეტიკური მიდგომა**, **გენეტიკური პროგნოზი**. ეს შესიტყვებები ასეა განმარტებული:

„**გენეტიკური ანალიზი** – ობიექტის განხილვა მისი წარმოშობისა და განვითარების თვალსაზრისით“.

„**გენეტიკური მიდგომა** – დაგეგმვის მეთოდი, რომელიც საგეგმო დავალებათა განსაზღვრის დროს არსებით მნიშვნელობას ანიჭებს (განსხვავებით ნორმატიული მიდგომისაგან) საწარმოს ან დარგის განვითარებისათვის დამახასიათებელი ტემპების გათვალისწინებას“.

„**გენეტიკური პროგნოზი** – პროგნოზი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება მოცემული დროისათვის საპროგნოზო ობიექტი გარკვეული საწყისი პირობების შემთხვევაში“.

წარმოდგენილ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში ზედსართავი **გენეტიკური**, რა თქმა უნდა, არამართებულადაა გამოყენებული. განმარტების მიხედვით, ამჟამად, რომ ანალიზის, მიდგომისა და პროგნოზის განმსაზღვრელი უნდა იყოს **გენეზისური** (და არა **გენეტიკური**), რადგან ის არანაირად არ უკავშირდება **გენეტიკას**, **გენს**.

თანამედროვე ქართულში ლექსიკური ერთეულები **გენეტიკური** და **გენეზისური** მნიშვნელობის თვალსაზრისით ფაქტობრივად გამოიჯნულია. **გენეტიკური** უპირატესად ცოცხალ ორგანიზმთა წარმოშობასთან დაკავშირებულს აღნიშნავს, მაგრამ, როგორც ითქვას, ზოგჯერ მაინც შეინიშნება აღრევის შემთხვევები. ამდენად, აუცილებელია მათი ასახვა ნორმატიულ ლექსიკონებში.

როგორც ჩანს, ენაში არამართებულად დამკვიდრებული სიტყვა **გენეტიკური** რუსული ზედსართავის – генетический – მიხედვით გაფორმდა. ცნობილია, რომ **-ურ-**ით ნაწარმოები წარმომავლობის ზედსართავებისათვის ამოსავალი უნდა იყოს არსებითი სახელი, შესაბამისად, **გენეტიკურისთვის** ამოსავალია **გენეზისი**, ამიტომ, ზედსართავი ფორმა უნდა იყოს **გენეზისური**. მასალის მიხედვით ამჟამად, რომ **გენეტიკური** ფორმა სწორედ **გენეზისურის** ნაცვლად გამოიყენება (და არა **გენეტიკურისა**). მაგალითად, „რელიეფის **გენეტიკური** ტიპის დადგენა გეომორფოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. რელიეფის **გენეტიკური** ტიპი ეწოდება ელემენტარული ფორმების კომპლექსს, რომლისთვისაც დამახასიათებელია გარეგნული **გენეტიკური** ერთგვაროვნება“. ამ წინადადებიდან ამჟამად, რომ **გენეტიკურის** ნაცვლად უნდა იყოს **გენეზისური**, რადგან იგი ხსნის რელიეფის გენეზისურ, ანუ რელიეფის წარმოშობის ტიპს.

ზედსართავი სახელი **გენეტიკური**, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარგმნით ლექსიკონებშიც დასტურდება. ჩანს, ამან განაპირობა მისი გაჩენა დარგობრივ ლექსიკაშიც. ეს ფორმა „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“, ბუნებრივია, არ დასტურდება. ვფიქრობთ, ახალ გამოცემაში (თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში) უნდა აიკრძალოს **გენეტიკური** ფორმა (როგორც არამართებელი).

## ლიტერატურა

**გეოგრ. 1967** – გეოგრაფიის ტერმინოლოგია, თბილისი.

**მართვ. ლექს. 1986** – მართვის ავტომატიზებული სისტემების ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ოსაძე 2013** – მ. ოსაძე, პარონიმის ერთი შემთხვევა ტერმინოლოგიაში (კრიზისული – კრიტიკული). – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი XIII, თბილისი.

**რუს.-ქართ. ლექს. 1983** – რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ტექნ. ტერმ. 1992** – ტექნიკური ტერმინოლოგია, თბილისი.

**ღამბაშიძე 1986** – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

**ჭაბაშვილი 1989** – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

Marina Osadze

### On the Terms *geneṭṭkuri*, *genezisuri* and *geneṭuri*

#### Summary

The paper deals with the morphosemantic interrelations of the terms with the foreign origin and the suffix **-ur** such as *geneṭṭkuri* and *genezisuri*.

In the dictionaries and scientific language their meanings are separated but apparently there are the cases when these terms improperly substitute each other. The paper gives the reasons of this confusion.

In the language the term *geneṭuri* has also emerged alongside the said terms that we think was established under the influence of the Russian adjective *geneṭičeskiy*.